საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრს

ქალბატონ ეკატერინე ტიკარაძეს,

ასლი: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციას,

ასლი: ბიზნესომბუდსმენს

2 ივლისი, 2020

ქალბატონო ეკატერინე,

როგორც თქვენთვის ცნობილია, უკვე მეექვსე თვეა საქართველოში შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთა გადამზადების პროგრამის განხორციელება სასწავლო ორგანიზაციების მიერ, ჯანდაცვის სამინისტროს ინიციატივით შეჩერებულია. ამ ხნის განმავლობაში, შრომის უსაფრთხოების სასწავლო და საკონსულტაციო კომპანიები მუდმივი მოლოდინის რეჟიმში არიან სწავლების განახლების პროცესთან დაკავშირებით.

ჩვენ მიველასმებით სამინისტროს მიერ აღებულ კურსს, სწავლების რეფორმირებასთან დაკავშირებით, მისი შემდგომი დახვეწისა და განვითარების მიზნით, თუმცა ეს პროცესი უკვე თითქმის ერთი წელია მიმდინარეობს და ძალიან მტკივნეულად აისახება როგორც სასწავლო ორგანიზაციებზე, ისე ბიზნესზე. შეიძლება ითქვას, რომ შრომის უსაფრთხოების სფეროს რეფორმა პრაქტიკულად შეჩერებულია, რადგან დღეს ორგანიზაციებს არ აქვთ შესაძლებლობა გადაამზადონ დასაქმებულები ან დაასაქმონ სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების კადრები.

მიმდინარე ეტაპზე, შექმნილმა ბიზნეს ეკონომიკურმა კრიზისმა განსაკუთრებული სირთულეები შეუქმნა სწავლების განმახორციელებელ ორგანიზაციებს, რომლებიც ერთის მხრივ არიან სრულ გაურკვევლობაში, მიიღებენ თუ არა კვლავ სასწავლო პროგრამის განხორციელების უფლებას, მეორე მხრივ კი ეს ბიზნესი არათუ საფრთხის, არამედ სრულად დაღუპვის პირასაა, რადგან გადასახადები (მათ შორის იჯარა) ტრენერთა შენარჩუნება, საერთაშორისო პროგრამები (რომელთა განხორციელების ლიცენზია საკმაო ხარჯებთანაა დაკავშირებული), ლიტერატურის თარგმნა, დამუშავება და ადაპტირება მძიმე ტვირთად აწევს ორგანიზაციებს და იმ ფონზე, როდესაც ისინი უმკლავდებიან ამ სირთულეებს, სამინისტრო არ ახმოვანებს შეჩერებული რეფორმის განახლების გეგმას ან პროექტს და არც პასუხს იძლევა - შესაბამისი ორგანიზაციები მიიღებენ თუ არა კვლავ სწავლების განხორციელების უფლებას.

სამინისტროს გააჩნდა ვალდებულება შრომის უსაფრთხოების ორგანული კანონის შესაბამისად მოეხდინა ამ პროგრამის შემუშავება და მისი ფუნქციონირების მართვა, რაც ნახევარი წელია უკვე შეუსრულებელ მისიად რჩება. შედეგად კი გვაქვს ვითარება, როდესაც სამინისტრო არ ახორციელებს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულებას და ამასთან არ არსებობს მისი აღსრულების სხვა მექანიზმები, რაც პრაქტიკულად „კეთილი ნების იმედად“ ტოვებს ორგანიზაციებს.

საგანგაშო ვითარებაა შექმნილი შრომის ბაზარზეც, სადაც დამსაქმებელს სურს გადაამზადოს საკუთარი კადრი, თუმცა ამის საშუალება მას არ ეძლევა. სასწავლო ორგანიზაციები ყოველდღიურად იღებენ უამრავ ზარს ბიზნეს სექტორის წარმომადგენლებისგან, რომლებიც დაჟინებით ითხოვენ სასწავლო კურსებზე დასაქმებულების გამოგზავნას, რომ მათ შეძლონ შრომის უსაფრთხოების კანონის მოთხოვნების დაკმაყოფილება. ამასთან, თუ შრომის პირობების ინსპექტირების დეპარტამენტი მოახდენს ბიზნეს ოპერატორის შემოწმებას, მას დარღვევად განესაზღვრება შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის არყოლა, ხოლო ამ დარღვევის გამოსწორება შეუძლებელია შრომის ბაზარზე არსებული დეფიციტის გამო. ყურადსაღებია, რომ დღეის მდგომარეობით გადამზადებულია 5000-მდე სპეციალისტი, ხოლო აქტიურ ბიზნეს საქმინობას ეწევა მინიმუმ 50-ჯერ მეტი ბიზნეს სუბიექტი. გასათვალისწინებელია ისიც, რომ გადამზადებულთა უმეტესობა კონცენტრირებულია ქ. თბილისში და საქართველოს სხვა რეგიონები პრაქტიკულად სპეციალისტების გარეშეა დარჩენილი.

შრომის უსაფრთხოების სფეროს რეფორმასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელებამდე, გთხოვთ სამინისტრომ მოახდინოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტთა გადამზადების მიმდინარე ეტაპზე არსებული პროგრამის ამოქმედება და გააკონტროლოს როგორც სწავლების ხარისხი, ისე სოციალური დისტანციისა და სანიტარული ნორმების დაცვა, იმ ფონზე, რომ სამინისტრომ უკვე გამოსცა შესაბამისი რეკომენდაციები სასწავლო დაწესებულებებისათვის.

მოგიწოდებთ გადახედოთ არსებულ თქვენს მიერ დაწესებულ რეგულაციებს, რომელიც ბარიერებს უქმნის ბიზნესს და ივლისის თვეში ნება დართოთ სატრენინგო ცენტრებს აღადგინონ საქმიანობა.

პატივისცემით,

ფადი ასლი

აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარე